საქართველოს ბიზნესის აკადემია
BUSINESS ACADEMY OF GEORGIA

| ინსტრუქცია | |
|---|---|
| შეფასების ხანგრძლივობა | 2 საათი |
| შეფასების გარემოს აღწერა | შეფასების პროცესი მიმდინარეობს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ში, ელექტრონულად, Microsoft Forms-ის ფორმატით. აპლიკანტი დამოუკიდებლად ასრულებს დავალებებს, ხოლო საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს შეფასების კომისიის სამდივნოს წევრები აკვირდებიან აპლიკანტის მუშაობის პროცესს |
| შეფასებისათვის საჭირო რესურსი | ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერი |
| შეფასების დადებითად მიჩნევის პირობები | თითოეულ შეკითხვაზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით. ტესტის მაქსიმალური შეფასებაა 50 ქულა, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 8 ქულა.<br>ტესტი შედგება რაოდენობრივი ხასიათის დავალებებისგან.<br>დავალებები მოიცავს მათემატიკის სხვადასხვა სფეროს (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, მონაცემთა ანალიზი) და სამი სხვადასხვაგვარი ფორმითაა ჩამოყალიბებული:<br>1. რაოდენობრივი შედარება;<br>2. ამოცანები;<br>3. ცხრილის სახით წარმოდგენილი მონაცემთა ანალიზი |
| შედეგების აპელაციის პირობები | აპლიკანტი უფლებამოსილია, შეფასების კომისიის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, გარდა კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებისა, გაასაჩივროს სააპელაციო კომისიასთან, გადაწყვეტილების გაცნობიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში |
| გთხოვთ, გაითვალისწინეთ | 1. დაუშვებელია გამოცდაზე დაგვიანება<br>2. რეგისტრაციის გასავლელად, აკადემიაში გამოცხადდით საგამოცდო დრომდე ერთ საათით ადრე.<br>3. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - დაბადების მოწმობა)<br>4. დაუშვებელია საგამოცდო სივრცეში ტელეფონისა და სხვა ელ. მოწყობილობების შეტანა<br>5. საგამოცდო სივრცეში დასაშვებია მხოლოდ სასმელი წყლის შეტანა<br>6. მუშაობის პროცესში არ უნდა გამოიწვიოთ ხმაური და ხელი არ შეუშალოთ სხვა აპლიკანტებს. შეკითხვის შემთხვევაში, აზრს აფიქსირებთ ხელის აწევით.<br>7. შეფასების კომისიის სამდივნოს წევრის მიერ გაფრთხილების მიცემის შემდეგ, დარღვევის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში, თქვენი ნაშრომი არ შეფასდება!<br>8. შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია მოგეწოდებათ შეფასებოს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, როგორც აკადემიისგან, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - vet.emis.ge-სგან. |

**გისურვებთ წარმატებებს!**